

სოფელ ქვემო მაჩხაანის კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური
პოტენციალი

ნანა ზაგალიშვილი

*მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი, კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო
პროგრამა*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური შესაძლებლობების კვლევას რურალურ გარემოში, კერძოდ კი - სოფელ ქვემო მაჩხაანში. რა მოცემულობა გვაქვს დღეს საქართველოს რეგიონებში, სოფლად ცხოვრების პრობებისა და იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობა-განვითარების კუთხით. ნაშრომი მიზნად ისახავს საბაზო გეგმის შექმნა სოფლის კულტურული მემკვიდრეობის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რესურსის წარმოჩენას და მისი გამოყენების პოტენციალის გამოვლენას.

ნაშრომი ეყრდნობა ერთი ისტორიული სოფლის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და მისი ეკონომიკური სარგებლიანობის შესაძლებლობების განხილვას იქ არსებული ადგილობრივი თემის მაქსიმალური ჩართულობით, რაც ერთნაირად მნავალფეროვანი და სასარგებლო იქნება, როგორც ადგილობრივი თემისთვის, ისე შიდა და უცხოელი ტურისტებისთვის.

სოფელ ქვემო მაჩხაანის საბაზო გეგმა მოიცავს სოფლის გარემოს აღწერას, კულტურული მემკვიდრეობის, ინფრასტრუქტურის დღევანდელ დონესა და მდგომარეობას, მემკვიდრეობის პოზიციას სოფელ ქვემო მაჩხაანისა და მუნიციპალიტეტის განვითარებაში, სოფლის ეკონომიკის, დემოგრაფიის, კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურების მდგომარეობას. მახასიათებლის აღწერას თან ერთვის საფრთხეებისა და რისკების ანალიზი, მათი დაძლევის გზები და პერსპექტივა რეაბილიტაცია-რესტავრაციის შემდეგ.

გამომდინარე იქიდან, რომ დღეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ჩვენს ქვეყანაში ან ფულის ფლანგვად, ან მაქსიმალურად ტურისტებზე ორიენტურებულობად. ანაც ძეგლების რემონტს გულისხმობს ხაჯთეფექტურობის სახელით, ჩემი კვლევის მიზანია - სოფლის, როგორც ღია მუზეუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ეკონომიკური სარგებლიანობის მოდელის შექმნა და

კონკრეტული სამოქმედო ნაბიჯებისა და რეკომენდაციების გაწერას საქართველოში და აღნიშნულ სფეროში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით.

ნაშრომი იქნება, ერთგავრი დამხმარე სახელმძღვანელო სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისთვის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის რათა აღნიშნული თემა სამუშაო დღის წესრიგში დადგეს პრაქტიკულად და მკაფიოდ დაინახონ, რომ ცენტრებისა და რეგიონების/სოფლების თანაბარი განვითარება არა მხოლოდ, კულტურული განვითარებისთვის იქნება სასარგებლო არამედ, ჯამში მეტ ეკონომიკურ სარგებელს მისცემს კონკრეტულ სოფელსა და მუნიციპალიტეტს.

ამასთან, სამაგისტრო ნაშრომი მსურს, რომ სხვა მუნიციპალიტეტებისთვის იყოს შესაძლებლობა სამომავლოდ სოფლად კულტურული მემკვიდრეობის ათვისება განიხილონ მისი ეკონომიკური სარგებლიანობის ჭრილში.

მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბატონ ნიკოლოზ ვაჩიშვილს პრაქტიკული რჩევებისთვის თემის კვლევის პროცესში.

ასევე, მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივა - Civic Initiative“-ს გუნდს ჩემი სამაგისტრო თემის პროცესში სავსე კვლევისას გაწეული მხარდაჭერისთვის.

მადლობა მინდა გადავუხადო, ა(ა)იპ „სათემო განვითარების“ ცენტრის ხელმძღვანელს ანა მარგველაშვილს, რომელის მიერ ჩატარებული სამუშაოები სიღნაღის მუნიციპალიტეტში, პრაქტიკულად გახდა ჩემი ინსპირაცია, მემუშავა აღნიშნულ სამაგისტრო თემაზე.

ამასთან, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ევროპის საბჭოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის“COMUS” ხელმძღვანელებს საქართველოში, რომელთა მიერ მომზადებული დოკუმენტი გახდა დამხმარე ჩარჩო სახელმძღვანელო სამაგისტრო კვლევის წარმოებისას.